პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 214

2018წ. "20" 12

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 17 ოქტომბრის №45 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ - ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 17 ოქტომბრის №45 გადაწყვეტილებაში, კერძოდ:

ა) გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა(ა)იპ - ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 223366587) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 40-ით“.

ბ) გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა(ა)იპ - ახალქალაქის წმინდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.“

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
3	თექის ხელოსანი	მესამე	თექის ხელოსნის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080364	30	ქართული	40	ქ. ახალქალაქი, მიასნიკიანის ქ. №26

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის №21 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე